

## საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

2009 წლის 2-4 დეკემბერს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძე სახელმწიფო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონსორციუმის მიწვევით საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ში, სადაც დაესწრნენ სახელმწიფო ფინანსების მართვისადმი მიძღვნილ კონფერენციას.

ვიზიტის ფარგლებში, 2 დეკემბერს შედგა შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო საანგარიშო ოფისის (GAO) მოქმედ გენერალურ აუდიტორთან ჯენე ლ. დოდაროსთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სტრატეგიული დაგეგმარების საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰელენ ჰსინგი.

შეხვედრაზე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და გენერალური აუდიტორი შეთანხმდნენ მომავალ თანამშრომლობაზე, რომელიც ითვალისწინებს როგორც პროფესიული, ისე ტექნიკური ხასიათის დახმარებას. GAO-ს გენერალურმა აუდიტორმა გამოხატა მზადყოფნა და გამოთქვა სურვილი, რომ დაეხმაროს საქართველოს კონტროლის პალატას უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციაში (INTOSAI-ში); რომ GAO-ს მხრიდან განხორციელდეს რეკომენდაციების, რჩევებისა და გამოცდილების გაზიარება საქართველოს კონტროლის პალატის მაღალი და საშუალო დონის მენეჯერებისთვის და რაც ყველაზე მთავარია, GAO მზადაა აუდიტორთა გადამზადების საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში (International Auditor Fellowship Program) ყოველწლიურად, სრულიად უფასოდ, უზრუნველყოს კონტროლის პალატის მენეჯერების/აუდიტორების სწავლება/ტრენინგი GAO-ს ტრენინგ-ცენტრში, ქ. ვაშინგტონში.

ასევე შედგა შეხვედრა GAO-ს ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელთან კაროლ ვილეთთან. გაიმართა სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია, ქართული მხარის წარმომადგენლები გაეცნენ სასწავლო ცენტრის ტექნიკურ ბაზას და პარტნიორთა მხრიდან კიდევ ერთხელ გამოითქვა მზადყოფნა საქართველოს კონტროლის პალატის მენეჯერების/აუდიტორების ზემოაღნიშნული პროგრამით გადამზადებასთან დაკავშირებით.


### სახელმწიფო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში:

2 დეკემბერს გაიმართა პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის (Performance Budget) დეპარტამენტის ხელმძღვანელის პიოტრ პერცჟინსკის პრეზენტაცია თემაზე, რომელიც ეხებოდა შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებულ გამოწვევებს (პოლონეთის გამოცდილება).

არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო აუცილებელი გახადა სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი გამოყენება. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის ფინანსთა სამინისტრო გადადის ბიუჯეტის დაგეგმვის ახალ სტანდარტზე - შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე, რომელიც გულისხმობს:

სახელმწიფო ხარჯების კონსოლიდირებულ გეგმას - ბიუჯეტს -

- მინიმუმ - 2 წელზე;
- გაწერილს - ფუნქციების, გეგმებისა და ქვეგეგმების დონეზე;
- მიზანზე ორიენტირებულს.



შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი დამყარებულია 4 ძირითად ფაქტორზე:

1. მინიმუმ 2- წლიანი ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტის ტრანსფარენტულობა;
3. რესურსების ეფექტური გამოყენება;
4. ეფექტიანობა/შედეგიანობა.

შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე გადასვლა არის გრძელვადიანი პროცესი, რომელიც ბიუჯეტის ფორმირების დაწყებიდან შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის საბოლოო მიღებამდე საშუალოდ 6-7 წელს გრძელდება.

შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე გადასვლის შედეგები იქნება:

- რესურსების რაციონალური გამოყენება;
- კონსოლიდირებული, მიზანზე ორიენტირებულ ბიუჯეტი;
- ეფექტურობისა და შედეგიანობის გაზრდა სახელმწიფო სექტორში;
- სახელმწიფო სახსრების უნივერსალური და კომპეტენტური მართვა.

3 დეკემბერს გაიმართა კომპანია FreeBalance-ს ვიცე-პრეზიდენტის დაგ ჰადდენის პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის მართვისთვის დანერგილ განახლებულ პროგრამულ უზუნველყოფას - Government 2.0, რომელიც არის web application-ზე დაწერილი პროგრამა. აღნიშნული პროგრამა არის ადვილად გამოყენებადი, მიზანზე ორიენტირებული, სოციალური (შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მხარის ინტერაქტიული მონაწილეობა) და მულტიმედიური (შესაძლებელია სურათების, პრეზენტაციების, ვიდეო და დოკუმენტური მასალების განთავსება). Government 2.0. ფართოდ გამოიყენება შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის მართვისთვის აშშ-ის სახელმწიფო სექტორში.

4 დეკემბერს შედგა საერთაშორისო სავალუტი ფონდის ფისკალური რეფორმების დეპარტამენტის უფროსი ეკონომისტის პოკარ ხემანის პრეზენტაცია თემაზე: „როგორ უნდა დაინერგოს პრაქტიკაში შესრულებაზე ორიენტირებული მოდელი ბიუჯეტის შედგენისას“.

საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება ინტერესი სახელმწიფო თანხების ხარჯვის, ხარჯვის ტრანსფარენტულობისა და ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს საზოგადოებას უკეთესი სერვისი იმავე დანახარჯებით ანუ ეფექტიანად გამოიყენოს რესურსები და ამისთვის აუცილებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაინერგოს შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი. რომლის მიზანია:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფისკალური დისციპლინის შექმნა;
2. რესურსების მიმართვა იმ სტრატეგიულ პრიორიტეტებზე, რომელთაც ითხოვს საზოგადოება;
3. სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას რესურსების ეფექტიანი მართვა.

შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, გასული საუკუნის 60-იან წლებში ის პირველად დაინერგა აშშ-ში, 1980-1990 წლებში კი - სხვა განვითარებულ ქვეყნებში. დღევანდელი რეალობა და სწრაფი განვითარების ტემპი აუცილებელს ხდის სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, აფრიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში მთავრობებმა დაინერგონ შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი.

ტრადიციული ბიუჯეტი ძირითადად დამყარებულია არსებულ ვალდებულებებზე, როგორცაა: ხელფასები, პენსიები, სოციალური დახმარებები და სხვ. ხარჯები. მასში განსაზღვრული არაა მიზნები და შედეგები. ტრადიციული ბიუჯეტი არის 1- წლიანი ანუ გაწერილია იმ კონკრეტულ წელზე, როდესაც არსებული ვალდებულებები უნდა დაიფაროს.

რაც შეეხება შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტს: ბიუჯეტი დაყოფილია პროგრამებად. თითოეული პროგრამა შეიცავს როგორც მისი რეალიზაციისთვის გაწეულ ხარჯებს, → ასევე შედეგებს (ე.წ. INPUT

OUTPUT). პროგრამები მიზნულია მხარჯავი ორგანიზაციის (სამინისტრო/სააგენტო) სტრუქტურასთან და პროგრამის შესრულებაზე მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება. პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯვის გეგმა მოცემულია როგორც გრძელვადიან, ასევე, მოკლევადიან პერსპექტივაში. ზემოაღნიშნული ფაქტორები ბიუჯეტს უფრო მოქნილსა და საზოგადოებისთვის გასაგებს ხდის.

შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვისას ასევე მნიშვნელოვანია ე.წ. SMART-ის მოდელის გათვალისწინება:

Specific – სპეციფიკური;

Measured – გაზომვადი: ანუ მიღწეულია თუ არა მიზნები, შესრულდა თუ არა პროგრამა

და ა.შ.

Achievable – მიღწევადი: რამდენად შესაძლებელია მიზნის მიღწევა და ასევე, წინა

წლის შედეგების გაუმჯობესება.

Relevant – რელევანტური: ბიუჯეტის მიზნები და პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს

საზოგადოების ინტერესებს.

Timed - დროული: რა დროშია შესაძლებელი ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნების

მიღწევა.

შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენა/შესრულება, ეს არის თანამედროვე მენეჯმენტის ხერხი და არა ილუზია; ეს არის გზა, თუ როგორ უნდა გახდეს სახელმწიფო სექტორი ეფექტიანი.